ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 87 (20378) — ᲙᲕᲘᲠᲐ, 12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

1. პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გამოქვეყნდეს გაზეთებში „იზვესტია“, „პრავდა“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“, „ტრუდი“ და რესპუბლიკურ გაზეთებში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის, მასზე სსრ კავშირის კანონის პროექტის გამო წარმოდგენილი შენიშვნები, რომლებიც შემოვა საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, შეიტანოს პროექტში საჭირო შესწორებანი და დამატებანი და 1989 წლის 15 აპრილამდე წარმოადგინოს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საბოლოოდ დამუშავებული კანონის პროექტი დასკვნისათვის გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების შესაბამის მუდმივ კომისიებსა და კომიტეტებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 8 თებერვალი.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარული პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომა.

კომისიამ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმისათვის განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტები სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის, მეცხოველეობის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური ურთიერთობისა და მართვის ძირეული გარდაქმნის, მეცხოველურ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის კადრების მომზადების სრულყოფის შესახებ. ამ დოკუმენტების პროექტები მოამზადეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარულმა განყოფილებამ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა წინადადებების, მშრომელების ადგილებიდან მოსული მრავალი სურვილის გათვალისწინებით.

საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კ. პოლოზკოვი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. მესიაცი, სკკპ სალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ვ. პოპოვი, სკკპ ორიოლის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ს. სტროგანი, სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. მ. ბოლოდინი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. მ. მასალიევი, სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თ. პონომორიოვი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გ. გრინცოვი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის არაშავმოწინააღმდეგიანი ზონის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ა. ვ. ალექსანკინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბ. რიეკოვი, ლატვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. საკალაუსკისი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ა. პასკარი, კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობა „ყუბანის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი მ. ი. კლეპიკოვი, სკკპ კალინინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. თ. ტატარჩუკი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ნაზარბაევი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ე. სოკოლოვი.

აზრთა გაზიარების დროს კომისიის წევრებმა გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებანი. განსაკუთრებით მწვავედ, დიდი შეშფოთებით განხილეს სოფლის სოციალური განვითარების პრობლემები. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, თუ რა პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ამ მიმართულებას. საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს კაპიტალური დაბანდებანი, მატერიალური რესურსების სოფლის მცხოვრებთა სოციალური მოწყობისათვის. ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, ეს გადაუდებლად უნდა გაკეთდეს უახლოეს წლებში.

კომისიის წევრთა აზრით მხოლოდ ასე შეიძლება შევაჩეროთ სოფლიდან ადამიანების მიგრაცია, რომელიც გრძელდება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კვების მრეწველობის საწარმოებში უნდა შექმნათ სტაბილური კოლექტივები. სოფლის შრომისა და ყოფის მოწყობის დონის ამაღლება გააძლიერებს ქალაქებისა და მუშათა დასახლებების მცხოვრებთა სოფლისაკენ მზარდ სწრაფვას.

კომისიამ მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოებითი ურთიერთობისა და მართვის შემდგომ განვითარებას. ნაგულისხმევია მაქსიმალურად ხელსაყრელი ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ აგროსამრეწველო კომპლექსის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოების ნამდვილ სამეურნეო დამოუკიდებლობას, სამეთა ინიციატივის, გერგილიანობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება პროდუქციის წარმოების გაძლიერების საქმეში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პოტენციურ შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენებისათვის, როგორც აღინიშნე ორატორებმა, აქტიურად უნდა ავითვისოთ შიდასამეურნეო ანგარიში და სხვადასხვა ფორმის იჯარა. მაგრამ ამ ახალ საქმეში დაუშვებელია ახსნა-განმარტებისა და ცოცხალი მაგალითის შეცვლა ადმინისტრირებითა და ზემოქმედებით.

განიხილეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთის სასურსათო რესურსების საკავშირო და რესპუბლიკური ფონდების დაგეგმვისა და ფორმირების, აგრეთვე ფასწარმოქმნისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების საკითხები.

კომისიის წევრებმა, რომლებმაც განიხილეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის ამოცანები, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მის შემდგომ დემოკრატიზაციას, სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის მმართველობითი ფუნქციების ზუსტ გამიჯვნას.

მოისმინეს სკკპ ლიპეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. ა. მანაენკოვისა და სკკპ ტულის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. ი. ლიტვინცევის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეწევიან აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობესებისათვის რაიონულ და საოლქო რგოლებში. ამ ოლქებში მთავრდება დემოკრატიისა და კოოპერაციის პრინციპებზე დაფუძნებული მართვის სისტემის შექმნა.

მეცხოველურ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხის განხილვისას კომისიის წევრებმა განსაკუთრებული გულისტკივილით აღნიშნეს, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა დაახლოებით 70 პროცენტი ჯერ კიდევ ხელით სრულდება, ამიტომ დასახული სოციალური და ეკონომიკური დონისძიებანი რეალურად უნდა განვამტკიცოთ თანმიდროვე ტექნოლოგიებით, მეცხოველურ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებით, მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიეგზავნოთ სოფელს თანამედროვე დიდმწარმოებლური და საიმედო ტექნიკა.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული საფუძვლიანად გარდაიქმნას სოფლის მეურნეობისა და კვების ინდუსტრიის მუშებისა და სპეციალისტების მომზადება. ეს უნდა იყოს ფართო პროფილის კადრები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის დოკუმენტების მომზადება გრძელდება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. პ. ნიკონოვი.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲔᲡ კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს და იურიდიულად ამკვიდრებს საზოგადოებრივი წარმოების მონაწილეთა ურთიერთობას, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური, სამრეწველო, სამშენებლო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სატრანსპორტო, მომარაგების, საკავშირო და სხვა სახეობათა სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფასთან, აგრეთვე ითვალისწინებს მომხმარებლის უფლებებსა და ინტერესების დაცვას.

კანონის მიზანია შექმნას პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების საჭირო პირობები, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი, გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფის პირობები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, სოციალისტური ეკონომიკის სტაბილური და დინამიკური განვითარება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

კანონი ითვალისწინებს გაძლიერდეს სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების ზემოქმედება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დასამუშავებელი, დასამზადებელი და გამოსაყენებელი პროდუქციის, წარმოებული სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხი და კონკურენტუნარიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პირობებში, ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და სოციალისტური კონკურენციის განვითარებასთან.

კანონი აკანონებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს დააწესონ გარანტიები და განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი მოქალაქეთა იმ უფლებების დასაცავად, რომ ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ხარისხიანი საქონლით, სამუშაოებითა და მომსახურებით.

I. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲣᲮᲚᲘ 1. პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის კანონმდებლობის ამოცანებია მოწესრიგოს ურთიერთობა პროდუქციის შემუშავებაში, წარმოებაში, რეალიზაციასა და გამოყენებაში, დაადგინოს საზოგადოებრივი წარმოების ყველა მონაწილის უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, რათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილეს მოქალაქეთა, საწარმოთა და მთლიანად სოციალისტური საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებანი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, სახალხო მოხმარების საქონელზე, მაღალხარისხოვან სამუშაოებსა და მომსახურებაზე, რომლებიც შეესაბამება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოს შენარჩუნების, აგრეთვე ამ დარგში კანონიერების განმტკიცების მოთხოვნებს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 2. პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები

პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის კანონმდებლობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

მომხმარებლის ინტერესების უწინარესი გათვალისწინება მისი უფლებების ყოველმხრივ დაცვა და როლის გაძლიერება პროდუქციის ხარისხის განსაზღვრაში;

პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემების ეფექტიანი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით შემმუშავებელთა, დამამზადებელთა, მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური დაინტერესების უზრუნველყოფა;

ხელშემწყობი პირობების შექმნა მშრომელთა პროფესიული ოსტატობისა და აქტიურობის ზრდისათვის, თითოეული შრომითი კოლექტივის ეფექტიანი საქმიანობისათვის, რომელთა მიზანია ხარისხოვანი პროდუქციის შემუშავება, დამზადება, რეალიზაცია და რაციონალური გამოყენება;

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებისა და წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა და სტიმულირება;

მშრომელთა ფართო მონაწილეობა პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაში;

პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის ურთიერთობის თითოეული წევრის უფლებები, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ზუსტი განსაზღვრა.

ᲛᲣᲮᲚᲘ 3. პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა

1. ურთიერთობას, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფასთან და მომხმარებლის უფლებათა დაცვასთან, აწესრიგებს ეს კანონი და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

2. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის დარგში სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება:

პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დადგენა;

ქვეყანაში სტანდარტიზაციის სრულყოფა, პროდუქციის ხარისხის სერტიფიკაციის, სახელმწიფო შეფასებისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება;

პროდუქციის ხარისხზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების მიმართულებათა განსაზღვრა;

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს პროდუქციის ხარისხის შეფასების წესის დადგენა;

მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ ძირითად დებულებათა დადგენა.

3. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფასთან და მომხმარებლის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გმგებლობას ექვემდებარება საკითხები, რომლებიც არ განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 4. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კანონმდებლობა პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ᲛᲣᲮᲚᲘ 5. გამოსაყენებელი ცნებები

ამ კანონის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი ცნებები.

პროდუქცია — შრომითი საქმიანობის შედეგი, რომელიც განკუთვნილია საზოგადოებრივ და პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევრები, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია, სახალხო მოხმარების საქონელი, მშენებლობის ობიექტები, სამუშაოები და მომსახურება.

პროდუქციის ხარისხი — იმ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ასახავს პროდუქციის სიახლის დონეს, სამედოობასა და ხანგამძლეობას, ეკონომიურობას, ერგონომიკურ, ესთეტიკურ, ეკოლოგიურ და სხვა სამომხმარებლო თვისებებს, და რომელიც ანიჭებს მას უნარს დაკმაყოფილოს განპირობებული ან ნავარაუდევი მოთხოვნილებანი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში.

ახალი პროდუქცია — გაუმჯობესებული ან პრინციპულად ახალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქცია, რომელიც შექმნილია მეცნიერული კვლევის, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოების საფუძველზე.

კონკურენტუნარიანი პროდუქცია — პროდუქცია, რომელსაც აქვს უკეთესი სამომხმარებლო თვისებები ბაზარზე არსებულ ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით და ამის შედეგად სარგებლობს გაღიდებული მოთხოვნით.

საწარმო — დამოუკიდებელი სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საწარმო (გაერთიანება), სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ან სხვა ორგანიზაცია, — რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

შემკვეთი — საწარმო, სახელმწიფო ორგანო ან მოქალაქე რომლებიც დამოუკიდებლად ან ვისიმე დავალებით აძლევენ პროდუქციის შემუშავების ან წარმოების შეკვეთას.

შემმუშავებელი — საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითს, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოებს ახალი პროდუქციის შესაქმნელად და ასათვისებლად.

დამამზადებელი — საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას სარეალიზაციოდ.

შრომის ხარისხი — შრომის საზოგადოებრივი სარგებლიანობის დონე და მისი შედეგიანობა, ხარისხოვანი პროდუქციის შექმნის პროფესიული უნარი.

საუკეთესო მსოფლიო მიღწევა — მსოფლიოში მიღწეული ანალოგიური პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებიდან უმაღლესი მაჩვენებლები.

გამყიდველი (მიმწოდებელი) — საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც ასაღებენ პროდუქციას ყიდვა-გაყიდვის, მიწოდების ხელშეკრულებით ან კონსტრაქტაციით.

მყიდველი — საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც პროდუქციას იძენენ ყიდვა-გაყიდვის, მიწოდების ხელშეკრულებით ან კონტრაქტაციით.

მომხმარებელი — საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც პროდუქციას იყენებენ საკუთარი საწარმოო ან პირადი საჭიროებებისათვის.

სერტიფიკაცია — მოქმედება, რომელიც ხორციელდება, რათა საჭირო უტყუარობით დადასტურდეს პროდუქციის შესაბამისობა კონკრეტულ სტანდარტებთან ან ტექნიკურ პირობებთან, და გაიცეს შესაბამისი დოკუმენტი.

სტანდარტი-ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც ადგენს ძირითად მოთხოვნებს პროდუქციის ხარისხისადმი, მისი შემუშავების, წარმოებისა და გამოყენების წესებს, აგრეთვე მოთხოვნებს სხვა ობიექტებისადმი, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. სტანდარტით იგულისხმება სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სტანდარტი, აგრეთვე სსრ კავშირის მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტი. სახელმწიფო სტანდარტებს თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით უტოლდება სამშენებლო ნორმები და წესები.

საერთაშორისო სტანდარტი — სტანდარტი, რომელიც მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციამ (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, საერთაშორისო ელექტროტექნიკურმა კომისიამ და სხვამ).

ტექნიკური პირობები — ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც ადგენს სახელმწიფო სტანდარტებისადმი დამატებითს, ხოლო თუ ისინი არ არის, დამოუკიდებელ მოთხოვნებსაც საწარმოს მიერ გამოშვებული კონკრეტული პროდუქციის ხარისხობრივი და სხვა მაჩვენებლებისადმი, აგრეთვე ამ დოკუმენტთან გათანაბრებული ტექნიკური აღწერილობა, რეცეპტურა, ნიმუშ-ეტალონი. ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე სახელმწიფო სტანდარტებით არის გათვალისწინებული.

II. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘᲗ ᲨᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ

ᲛᲣᲮᲚᲘ 6. პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების ჩამოყალიბება

1. პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნებს აყალიბებენ მომხმარებლები (შემკვეთები), შემმუშავებლები, დამამზადებლები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები. ამ მოთხოვნათა ჩამოყალიბებაში პრიორიტეტი ეკუთვნის მომხმარებელს.

2. პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნათა ჩამოყალიბებაზე მომხმარებლის განსაზღვრელ გავლენას უზრუნველყოფს:

პროდუქციის სტანდარტების, ტექნიკური პირობების, სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებაში მომხმარებელ საწარმოთა (შემკვეთთა) და მომხმარებლების საზოგადოებათა მონაწილეობის გარანტირებული უფლება;

საკანონმდებლო აქტების მომზადებაში, სახელმწიფო დონეზე პროდუქციის ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა შემუშავებაში სსრ კავშირის საწარმოთა ასოციაციების, მომხმარებელთა საზოგადოებებისა და მოქალაქეების ფართო მონაწილეობა;

პროდუქციის ბაზრისა და მწარმოებელთა სოციალისტური კონკურენციის განვითარება;

მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა.

3. პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნათა ჩამოყალიბების დროს შემმუშავებლები და დამამზადებლები ითვალისწინებენ:

მოსახლეობის, სახალხო მეურნეობისა და ექსპორტის მიმდინარე და პროგნოზირებულ მოთხოვნილებებს, ყველაზე ეფექტიანი გზით ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობას;

მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა საფუძველზე პროდუქციის თვისებრივ მახასიათებელთა განსაზღვრისადმი დიფერენცირებულ მიდგომას;

საბჭოურ და საზღვარგარეთულ გამოცდილებას ახალი პროდუქციის კონსტრუირებისა და დაპროექტების, დიდფექტიანი ტექნოლოგიების შექმნის დარგში;

აღმოჩენებისა და გამგონებების ფართო მასშტაბით გამოყენებას საზოგადოების პერსპექტიულ მოთხოვნილებათა განმსაზღვრელი თვისებრივად ახალი პროდუქციის შექმნის მიზნით.

4. სახელმწიფო ორგანოები საერთო-სახალხო ინტერესების გათვალისწინებით აყალიბებენ საზოგადოებრივი წარმოების ყველა მონაწილისათვის სავალდებულო მოთხოვნებს პროდუქციის ხარისხისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას;

გარემოს დაცვას, ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალ დონეს;

ხარისხიანი პროდუქციით საშინაო ბაზრის უხვად მომარაგებას და მისი ექსპორტის გაფართოებას;

შრომითი, მატერიალური, ენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების დროს, ტექნიკურ შეთავსებულობას.

5. მოთხოვნები პროდუქციის ხარისხისადმი მკვიდრდება შესაბამის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებში.

ᲛᲣᲮᲚᲘ 7. შრომა და პროდუქციის ხარისხი

1. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების გადამწყვეტი ფაქტორია სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის ხარისხი.

თითოეული მოქალაქე, რომელიც საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობს, მოვალეა კეთილსინდისიერად ეკიდებოდეს სამუშაოს, თავისი შრომით ქმნიდეს ხარისხიან პროდუქციას.

დიდად ოსტატური შრომა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის შექმნას, საპატიოა, სარგებლობს საყოველთაო აღიარებით ქვეყანაში და ყოველნაირად ხალისდება.

2. საზოგადოებრივი შრომით დასაქმებულმა სსრ კავშირის მოქალაქეებმა პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის თანამეგობრულ საფუძველზე უნდა მიიჩნიონ:

ურთიერთდახმარება, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის ჩვევების გაზიარება;

მკაცრი მომხოვნელობა შრომის ხარისხისა და მისი შედეგებისადმი ყოველ სამუშაო ადგილას;

მუშაკის პროფესიული ოსტატობისა და მისი შრომის ანაზღაურების ოდენობის შეფასება, მთავარი კრიტერიუმის — პროდუქციის ხარისხის გათვალისწინებით;

თითოეულის — მუშიდან ხელმძღვანელამდე პირადი პასუხისმგებლობა თავისი შრომის ხარისხისათვის;

შრომის პროცესში ყოველი ისეთი მოქმედების თავიდან აცილება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პროდუქციის ხარისხს.

3. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს მუშაკის ვალდებულება ნიადაგ იძიებდეს კვალიფიკაციასა და ოსტატობას, ხარისხიანად შრომობდეს, აგრეთვე საწარმოს ვალდებულება — უზრუნველყოფდეს ამისათვის საჭირო პირობებს.

ახალი პროდუქციის ათვისების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის დროს საწარმოსა და მისი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები აწყობენ მუშაკთა მიერ წარმოების ცვლილებაი პირობების, შრომის მეთოდებისა და პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების შესწავლას.

მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურენი, რომლებსაც არ გაუვლიათ მათთვის მინდობილი ტექნოლოგიური ოპერაციებისა და დავალებული სამუშაოს ხარისხიანი შესრულების საქმეში სწავლება და ატესტაცია, შესაბამის სამუშაოზე არ დაიშვებიან.

4. საწარმოებისა და მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები პასუხს აგებენ შრომითი კოლექტივების წინაშე იმისათვის, რომ შეუქმნან თითოეულ მუშაკს ეფექტიანი და ხარისხიანი მუშაობის, მისი უნარის რაც შეიძლება სრული გამოვლენის, შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის, საბოლოო შედეგებით — ხარისხიანი პროდუქციის შექმნით დაინტერესების გაძლიერების საჭირო პირობები.

ᲛᲣᲮᲚᲘ 8. კადრების პროფესიონალიზმი და ოსტატობა.

1. უახლესი ტექნიკის გამოყენება, პროგრესული ტექნოლოგიების მომსახურება და ამ საფუძველზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა მაღალი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით. ამ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონები**

პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ

(გაგრძელება)

4. ახალი წარმოებების, ტექნოლოგიური პროცესების შემმუშავებლები მოვალენი არიან ტექნიკური დოკუმენტაციის შემადგენლობაში მომხმარებლებს მოუმზადონ რეკომენდაციები კადრების სწავლების თაობაზე, სახელშეკრულებო საფუძველზე დაამუშაონ სასწავლო პროგრამები და დამხმარე სახელმძღვანელოები, დრენაჟერები და სწავლების სხვა ტექნიკური საშუალებები.

მუხლი 9. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაში მშრომელთა მონაწილეობის კოლექტიური ფორმები

1. პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაში მშრომელთა მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ფორმებია ხარისხის ჯგუფები, შემოქმედებითი ბრიგადები და ამ მიზნით საწარმოებში შექმნილი სხვა კოლექტივები (შემდეგ — ხარისხის ჯგუფები).

ხარისხის ჯგუფებს მშრომელები ქმნიან ნებაყოფლობითს საწყისებზე. მათი შექმნა, მონაწილეთა რიცხობრივი და პროფესიულ-კვალიფიკაციური შემადგენლობა განპირობებული არ არის რაიმე წესებით ან წარმოების მართვის ორგანოთა ნებართვით.

2. ხარისხის ჯგუფები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ადმინისტრაციასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რათა საწარმომ რაც შეიძლება წარმატებით გადაწყვიტოს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანა წარმოების ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის საფუძველზე.

საწარმოს ადმინისტრაცია განიხილავს ხარისხის ჯგუფების წინადადებებს და ორგანიზაციას უფლებას აძლევს მათის განხორციელებას. ხარისხის ჯგუფებს შეუძლიათ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ადმინისტრაციის მიერ მიღებულ წინადადებათა რეალიზაციაში როგორც სამუშაო, ისე ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს შეთავსების ან იჯარის პირობებით.

3. საწარმოს ადმინისტრაცია ხარისხის ჯგუფებს ეფექტიანი საქმიანობის პირობებს უქმნის. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წინადადებათა შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭირო შემთხვევებში მათ გამოეყოფათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ფულადი სახსრები.

ხარისხის ჯგუფების წევრები — წინადადებათა ავტორები, აგრეთვე საწარმოს ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ ხარისხის ჯგუფებს, მორალურად და მატერიალურად წახალისდებიან.

4. ხარისხის ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი ინიციატივით შექმნან გაერთიანებები საწარმოს, მოიჯნავე საწარმოთა ანალოგიური ჯგუფების ფარგლებში, აგრეთვე ასოციაციები დარგების, ტერიტორიების მიხედვით და ქვეყანაში. ასოციაციები შეისწავლიან და აერკვევიან ხარისხის ჯგუფებისა და წრეების მუშაობის მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას, აწყობენ ხარისხის ჯგუფების ხელმძღვანელთა სწავლებას, კონკურსებსა და დათვალიერებებს, მონაწილეობენ ხარისხის ჯგუფებისა და წრეების საზღვარგარეთულ და საერთაშორისო გაერთიანებებთან თანამშრომლობაში, ხელს უწყობენ ხარისხის ჯგუფების ყველაზე აქტიურ წევრთა გაგზავნას საზღვარგარეთის ქვეყნებში პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრესული მეთოდების შესასწავლად. აღნიშნულ ღონისძიებათა მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები ხორცელდება დაინტერესებულ საწარმოთა სახსრებით.

ხარისხის ჯგუფების ასოციაციები თავიანთ მუშაობაში მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ მომხმარებელთა საზოგადოებებთან და მათ კავშირებთან, აგრეთვე პროდუქციის მომხმარებელ საწარმოთა ასოციაციებთან.

მუხლი 10. საწარმო ხარისხიანი პროდუქციის შექმნისა და წარმოების ძირითადი რგოლია

1. საწარმო ეკონომიკის ძირითადი რგოლია, რომლის მთავარი ამოცანაა ხარისხიან პროდუქციაზე მოსახლეობის, სახალხო მეურნეობისა და ექსპორტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საწარმო პროდუქციის შექმნა-წარმოების დროს ხელმძღვანელობს მომხმარებელთა და საზოგადოების ინტერესებით. მას ოლოგა არა აქვს ეცადოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას პროდუქციის ხარისხის საზიანოდ, განახორციელოს მოქმედება, რომელსაც წარმოების მონოპოლიზაცია და მომხმარებლის ინტერესების შელახვა მოჰყვება.

2. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს, ახორციელებს წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

საწარმოს ადმინისტრაცია და შრომითი კოლექტივი უძღვებიან პროდუქციის წარმოებას და ამასთან მკაცრად იცავენ სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ხელშეკრულებების მოთხოვნებს.

საწარმო პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავის ურთიერთობას სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე მოქალაქეებთან წარმართავს ხელშეკრულებათა საფუძველზე. პროდუქციის ხარისხის გამო უთანხმოების წარმოქმნის დროს საწარმოებმა უნდა იხელმძღვანელონ ორმხრივი ეკონომიკური ინტერესებით და ეცადონ მათ გადაწყვეტას ორმხრივი თანხმობით.

3. საწარმო პროდუქციის შექმნისა და წარმოების პროცესში მისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

იყენებს პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა შექმნისა და ფუნქციონირების სამამულო გამოცდილებას და სრულყოფს მთ საერთაშორისო პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე;

ამუშავებს თავისი პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტების ტექნიკურ პირობებს და, საჭიროებისას, პროექტებს;

განსაზღვრავს მოთხოვნებს მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარისხისადმი, რომლებიც სავალდებულოა მათი შემმუშავებლებისათვის;

აწყობს პროდუქციის გამოცდებს, რომლებიც ძაქსიმალურად არიან დაახლოებული მომხმარებლის მიერ მისი გამოყენების (ექსპლუატაციის) პირობებთან;

ეფექტიანად იყენებს ინფორმაციას დამზადებული პროდუქციის ხარისხის შესახებ, რომელიც საექსპლუატაციოდ აქვთ მომხმარებლებს;

იყენებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ნერგავ. პროგრესულ ტექნოლოგიებსა და წარმოების ორგანიზაციის ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხიანი პროდუქციის შემუშავებას, წარმოებას, შენახვასა და ტრანსპორტირებას;

თანამშრომლობს მომიჯნავე საწარმოებთან პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამიზნული ერთობლივი მოქმედების შესამუშავებლად.

4. საწარმოს ადმინისტრაცია საჭირო საწარმოო და სოციალურ პირობებს უქმნის მუშაკებს, რომლებიც ხარისხიანი პროდუქციის დამზადებას უზრუნველყოფენ.

წარმოების პირობების დარღვევისას, რასაც შეიძლება უნარისხო პროდუქციის გამოშვება მოჰყვეს, მუშაკს უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევის აღმოფხვრა და შეაჩეროს მისთვის დაკისრებული სამუშაოს შესრულება. ხელმძღვანელი, რომელიც იძლევა ამ პირობებში მუშაობის განგრძობის განკარგულებას, კისრულობს პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქციის დამზადებისათვის.

5. საწარმოს შრომითი კოლექტივი:

ადმინისტრაციასთან ერთად ამუშავებს პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

მოითხოვს ადმინისტრაციის ისეთი მოქმედების შეჩერებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პროდუქციის ხარისხის გაუარესება;

აყენებს თანამდებობის პირთა და სხვა მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უხარისხო პროდუქციის წარმოების გამოშწვევ მოქმედებაში;

თანამშრომლობს მომიჯნავე საწარმოთა შრომითს კოლექტივებთან, რათა ერთობლივად იმოქმედონ წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

6. სახელმწიფო ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ საწარმოს საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ფორმებთან და მეთოდებთან. ამ მოთხოვნის დარღვევის დროს საწარმოს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს, რათა შესაბამისი აქტი ბათილად იქნეს ცნობილი.

მუხლი 11. პროდუქციის მომხმარებელ საწარმოთა ასოციაციები

1. საწარმოებს თავიანთი შრომითი კოლექტივების თანხმობით შეუძლიათ შექმნან ნებაყოფლობით საწყისებზე პროდუქციის მომხმარებელთა სამეურნეოანგარიშიანი ასოციაციები (შემდეგ — საწარმოთა ასოციაციები), რათა დაძლიონ მიმწოდებელთა მონოპოლიური მდგომარეობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეფიციტი, რომლებიც აუცილებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

2. საწარმოთა ასოციაციებს ქმნიან დამფუძნებელ საწარმოთა რწმუნებულების კრებები და ისინი მოქმედებენ ამ კრებების მიერ მიღებული წესდებების საფუძველზე.

საწარმოთა ასოციაციების შექმნა არ არის განპირობებული მათი ზემდგომი ან სახელმწიფო ორგანოების ნებართვით. ასოციაცია შექმნილად ითვლება და იურიდიულ პირად არის აღიარებული მისი წესდების მიღების მომენტიდან.

საწარმოთა ასოციაციების წესდება არ ექვემდებარება რეგისტრაციას სახელმწიფო ორგანოებში.

3. ასოციაციებს უფლება აქვთ შექმნან საწარმოები ისეთი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის, წარმოებისა და გამოსაყენებლად მომზადებისათვის, რომლებიც ასოციაციის წევრ საწარმოს სჭირდებათ ხარისხიანი პროდუქციის გამოსაშვებად.

4. საწარმოთა ასოციაციები აწყობენ ბაზრობებსა და აუქციონებს, ხელს უწყობენ სოციალისტური კონკურენციის განვითარებას, რათა მომხმარებლებს გაუფართოვდეთ საჭირო ხარისხის პროდუქციის არჩევანის შესაძლებლობები, მონაწილეობენ მოზარდი პროდუქციის ფასების საფუძვლიანობისადმი კონტროლში.

მუხლი 12. სახელმწიფოს როლი პროდუქციის ხარისხის მართვაში

1. სახელმწიფო, რომელიც იყენებს სახალხო მეურნეობის მართვის უპირატეს ეკონომიკურ მეთოდებს, ახორციელებს ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მიზანმიმართულ მოქმედებას, სტიმულს აძლევს საუკეთესო მსოფლიო მიღწევების შესაბამისი პროდუქციის შემუშავებას და წარმოებას, ასევე ეროვნულ ეკონომიკურ სასიკეთო პირობებს უქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებულ თვალსებას, რაც პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების, მისი ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველია, ეკონომიკურ პირობებს უქმნის სიახლეებით საწარმოთა დაინტერესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის ბაზრის განვითარებას.

სახელმწიფო მის განკარგულებაში არსებული რესურსებით დახმარებას უწევს პრინციპულად ახალი დიდეფექტიანი პროდუქციის შექმნასა და ტირაჟირებას, რაც ეფუძნება იმ მეცნიერულ აღმოჩენებსა და დიდ გამოგონებებს, საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშებს, რომ სწორნის და დიდი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა.

3. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მათთვის მიკუთვნული კომპეტენციის ფარგლებში:

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებით ითვალისწინებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ახალი ხარისხოვანი პროდუქციის შემუშავებასა და წარმოებას (მიწოდებას);

ამტკიცებენ სახელმწიფო სტანდარტებს, ადგენენ მოთხოვნას პროდუქციის ხარისხისადმი ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მხრივ ქმნიან პროდუქციის სერტიფიკაციის ეროვნულ ცენტრებს;

აწესებენ ეკონომიკურ შეღავათებს, რომლებიც სტიმულს აძლევენ ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას;

ახორციელებენ პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის ურთიერთობის ნორმატიულ რეგულირებას, აგრეთვე იცავენ მოქალაქეთა და საწარმოთა უფლებებს ამ დარგში.

უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნათა შესრულებას კონტროლს საერთო სახალხო ინტერესების დაცვის მიზნით;

ხელს უწყობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას;

მომხმარებელთა საზოგადოებებთან (კავშირებთან) ერთად პერიოდულად აწყობენ სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხის, ახალი ნაწარმის ხარისხისა და ფასების თანაფარდობის შერჩევით სტატისტიკურ გამოკვლევას, ამასთან გამოკვლევის შედეგებს აქვეყნებენ პრესაში;

ხელს უწყობენ პროდუქციის ხარისხის საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის ფირმებთან საწარმოთა თანამშრომლობის განვითარებას.

III. პროდუქციის ხარისხის ნორმირება, შეფასება და კონტროლი

მუხლი 13. პროდუქციის ხარისხის ნორმატიული უზრუნველყოფა

1. პროდუქციის ხარისხის ნორმატიული მოთხოვნები განისაზღვრება სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სტანდარტებით და ტექნიკური პირობებით, რომლებიც საჭიროა პროდუქციის წარმოებისა და გამოშვებისათვის, ხოლო სპრეექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და მშენებლობის ობიექტების ხარისხისადმი — სამშენებლო ნორმებითა და წესებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებ იქნეს სხვა სახეობის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციები, რომლებიც ცალკეული სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხისადმი მოთხოვნებს აწესებენ მათი უნარის გათვალისწინებით.

ყველა სახეობის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დამტკიცების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

2. პროდუქციის ხარისხისადმი ნორმატიული მოთხოვნები, რომელთა მიზანია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოზე უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა ან მაქსიმალური შემცირება; უნდა დადგინდეს სახელმწიფო სტანდარტებითა და შესაბამისად ტექნიკური პირობებით.

ძირითადი სახეობის ნედლეულსა და მასალაზე, დარგთაშორისი გამოყენების ნაწარმსა და სამშენებლო კონსტრუქციებზე მომხმარებლისათვის საჭირო ხარისხის მაჩვენებლები დგინდება სახელმწიფო სტანდარტებით. ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფებისათვის სახელმწიფო სტანდარტებში მათი უნარის გათვალისწინებით დიფერენცირებულად დგინდება მხოლოდ საერთო ნორმატიები და უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის რესურსდაზოგვის მოთხოვნები.

3. სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოთხოვნებს, გამოხატავდეს ჩვენი ქვეყნის საწარმოთა საუკეთესო მიღწევებს და ითვალისწინებდეს ამ დარგის მსოფლიო მიღწევებს. ეს მაჩვენებლები არ უნდა ჩამორჩებოდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

4. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური პირობები, რომლებითაც დგინდება მოთხოვნები პროდუქციის ხარისხისადმი, იქმნება მისი შემუშავების პროცესში, შეუთანხმდება ამ პროდუქციის ძირითად მომხმარებლებს (შემკვეთებს) და პერიოდულად (პროდუქციის სახეობის კვალობაზე, მაგრამ სულ ცოტა ხუთ წელიწადში ერთხელ) მოწმდება და ახლდება.

სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შემუშავებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროდუქციის და მისი წარმოებისათვის მოსახმარი ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის მოთხოვნების შეთანხმება.

5. კანონსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება:

ნებისმიერი პირის მხრივ პროდუქციის წარმოების დროს სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დარღვევა;

ნებისმიერი საწარმოს მხრივ— დაუმტკიცებელი სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების ტექნიკური პირობების გარეშე პროდუქციის წარმოება და მისი ფასების დაწესება.

პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობებისა მოთხოვნებს, მიიჩნევა უხარისხოდ, არ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით და მოხმარდება სხვა მიზნებს ან გადამუშავდება.

პროდუქცია, რომლის გამოყენების შედეგად შეიძლება ზიანი მიადგეს მოქალაქეთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან გარემოს, გადამუშავდება, და თუ ეს შეუძლებელია, განადგურდება.

6. პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნა შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტების, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტების უშუალო გამოყენების საფუძველზე.

დაშვებულია პროდუქციის დამზადება საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნული სტანდარტების შესაბამისად ამ ქვეყნების მომხმარებელთა მოთხოვნით.

მუხლი 14. ძირითადი მოთხოვნები საწარმოებისადმი პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მათი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

1. შესამუშავებელი პროდუქციისადმი შემკვეთის მოთხოვნები ფორმდება როგორც ტექნიკური დავალება (დაპროექტების დავალება), რომელშიც უნდა აისახოს მომხმარებლის მოთხოვნილებანი, პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტები.

არ დაშვება შეთანხმება და დამტკიცება:

ისეთი ახალი პროდუქციის შემუშავების ტექნიკური დავალებებისა, რომლის ხარისხისადმი მოთხოვნები სსრ კავშირში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებზე ნაკლებია;

დაპროექტების, ისეთი წინასაპროექტო და საპროექტო გადაწყვეტების ტექნიკური დავალებებისა, რომლებიც არ ითვალისწინებს ადამიანთა სიცოცხლის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და ავარიული სიტუაციების თავდან აცილების ღონისძიებების დაცვას.

სამშენებლო პროდუქციის შემკვეთები ახალი საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, მოქმედთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განაწილების დაპროექტების დავალებებით ადგენენ სამშენებლო პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ტექნიკური დონის პროგრესული მაჩვენებლების საფუძველზე საპროექტო გადაწყვეტათა ტექნიკური დონის, ეფექტიანობისა და ხარისხისადმი მოთხოვნებს.

2. შემმუშავებელი უზრუნველყოფს:

შესაქმნელი ან სამოდერნიზაციო პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობას ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან;

სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შემუშავებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროდუქციის და მისი წარმოებისათვის მოსახმარი ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის მოთხოვნების შეთანხმება.

5. კანონსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება:

ნებისმიერი პირის მხრივ პროდუქციის წარმოების დროს სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დარღვევა;

ნებისმიერი საწარმოს მხრივ— დაუმტკიცებელი სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების ტექნიკური პირობების გარეშე პროდუქციის წარმოება და მისი ფასების დაწესება.

პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობებისა მოთხოვნებს, მიიჩნევა უხარისხოდ, არ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით და მოხმარდება სხვა მიზნებს ან გადამუშავდება.

6. ახალი პროდუქციის შემუშავებისა და წარმოების ეტაპებზე ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობა (ცალკეული მუშაკების [illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

პროდუქციის ხარისხისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვის შესახებ

(დასასრული)

შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის, ცენტრალიზებული ფონდების ზემდგომი ორგანოების რეზერვების სახსრების ხარჯზე. ამასთან ცენტრალიზებული ფინანსური რესურსები გამოიყოფა, როგორც ფასი, საკონკურსო საფუძველზე. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი ფორმდება ხელშეკრულებით.

3. სახელმწიფო ბანკები პრიორიტეტული წესით და შეღავათიანი პირობებით ხელშეკრულების მიხედვით იძლევიან კრედიტებს ახალი პროდუქციის შემუშავებისა და ათვისებისათვის, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის.

4. საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტისათვის განკუთვნილი პროდუქციის შემუშავებას, წარმოების ათვისებასა და დამზადებას, აგრეთვე ითვისებენ მისთვის საჭირო მაკომპლექტებელი ნაწარმისა და მასალების მიმწოდებლების მიერ მიღებული კრედიტის დაფარვის წყაროო არის ექსპორტიორი საწარმოს საგალუტო ანარიცხების ფონდის ნაწილი, რომელსაც იგი მიმწოდებელს გადასცემს ხელშეკრულების შესაბამისად.

5. გადიდებული მოთხოვნის ხარისხიანი პროდუქციის შექმნისა და წარმოების განვითარების დაფინანსებისათვის დამამზადებელ საწარმოს შეუძლია გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მიეყიდებათ დაინტერესებულ საწარმოებს, აგრეთვე დამამზადებლის შრომითი კოლექტივის წევრებს.

6. საწარმოებს, რომლებიც ახალი პროდუქციის გამოსაშვებად აბორიგენებენ წარმოების ტექნიკურ განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის. ნებადართულია ამ მიზნებისათვის ბანკების კრედიტების ხარჯზე, უფლება აქვთ ნორმატივებთან შედარებით შემცირონ შესაცვლელი ძირითადი საწარმოო ფონდების გამოსაყენებლობა ვადები და შესაბამისად გადიდონ საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები. ამ ანარიცხების მთელი მატება გადაირიცხება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდში.

მუხლი 22. ბიუჯეტში გადასახდელებისა და სავალუტო ანარიცხების შეღავათები

1. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო საწარმოები ითვისებენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ახალ პროდუქციას, ზემდგომ ორგანოს შეუძლია დაუწესოს მათ ამ პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფისათვის ამოქმედებული ძირითადი საწარმოო ფონდების საფასურის შეღავათიანი ნორმატივები იმ პერიოდისათვის, რომელიც უდრის შესაბამის სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიულ ვადას. ამ შეღავათის ხარჯზე საწარმოს მიერ მიღებული გაანგარიშებითი მოგების (შემოსავლის) გადიდების თანხა ნაწილდება დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით.

2. საწარმოებს, რომლებიც უშვებენ ხარისხის ატესტატიან პროდუქციას ან საექსპორტოდ გზავნიან სერტიფიცირებულ პროდუქციას, სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების (შემოსავლის) ანარიცხების ნორმატივები უმცირდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

3. ახალი პროდუქციის დამამზადებელი მის შემშუშავებელს გადასცემს იმ დამატებითი სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის სახსრების ნაწილს, რომელიც მან მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების (შემოსავლის) გადასახდელების შეღავათების გამოყენების გზით. სახსრების ეს ნაწილი განისაზღვრება შემშუშავებელსა და დამამზადებელს შორის დადებულ ხელშეკრულებით და გადაეცემა აღნიშნული შეღავათების გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. საექსპორტო ახალი ხარისხიანი პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები შემშუშავებელს, აგრეთვე ახალი მაკომპლექტებელი ნაწარმისა და მასალების მიმწოდებლებს გადასცემენ საგალუტო ანარიცხების ფონდის ნაწილს, რომლებიც გადაირიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და ვადის განმავლობაში.

მუხლი 23. საწარმოთა მუშაკების წახალისება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

1. პროდუქციის ხარისხი მთავარი კრიტერიუმია საწარმოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების დიფერენციაციისათვის.

ხელფასის (ფასდებები, თანამდებობრივი სარგოები, დანამატები, მუშაობის ერთეულზე ხელფასის ნორმატივები) ოდენობა უნდა დადგინდეს დამზადებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით. ხელფასი სრული ოდენობით შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პროდუქციისათვის (შესრულებული სამუშაოსათვის), რომელიც დამზადებულია მისი ხარისხისადმი დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

2. საწარმოს ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით მუშაკებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ სტაბილურ ხარისხს, ანიჭებს „ხარისხის ოსტატის“ წოდებას, რომელიც ყოველწლიურად უნდა დასტურდებოდეს.

მუშაკებს, რომლებსაც ათი წლის განმავლობაში მიენიჭებათ „ხარისხის ოსტატის“ წოდება, საწარმოოები თავიანთი სახსრების ხარჯზე უზღვიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ დანამატს.

3. პრინციპულად ახალ ,სახეობათა პროდუქციას და ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, შეიძლება მიენიჭოთ შემშუშავებელთა სახელი.

მუხლი 24. პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის ხარისხისათვის

1. იმ შემთხვევაში, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქცია არ შეესაბამება ტექნიკურ დავალებას ან ხელშეკრულებას, შემკვეთს უფლება აქვს თავისი არჩევით შემშუშავებლისაგან მოითხოვოს მასთან შეთანხმებულ ვადაში შესრულებულ სამუშაოში მისი მიზეზით დაშვებული ნაკლოვანებების უსასყიდლოდ აღმოფხვრა ან გაუქმოს ხელშეკრულება და აუნაზღაუროს შემკვეთს ზარალი. სამუშაოში ნაკლოვანებათა აღმოფხვრამდე შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ანაზღაურებაზე, ხოლო თუ ისინი უკვე ანაზღაურებულია, მოითხოვოს დადგენილი წესით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, როცა შემშუშავებელი აღნიშნულ ვადაში არ აღმოფხვრის ნაკლოვანებებს, იგი შემკვეთს უხდის პირგასამტეხლოს (ჯარიმას, საურავს) კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით. პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადახდა შემმუშავებელს არ ათავისუფლებს დეფექტების აღმოფხვრისაგან.

2. პასუხისმგებლობა წარმოების გაანგარიშებითი ეკონომიკური ეფექტიანობის და ახალი პროდუქციის გამოყენების დასაბუთებისათვის ეკისრება შემმუშავებელს. ახალი პროდუქციის გამოყენებისაგან გაანგარიშებით ეკონომიკური ეფექტის აწევის დროს შემმუშავებელი შემკვეთის მოთხოვნით უნაზღაურებს მას ზარალს. ასანაზღაურებელი ზარალი ოდენობა განისაზღვრება გაანგარიშებით და რეალურ ეკონომიკურ ეფექტს შორის სხვაობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს შემუშავების ღირებულებას.

მუხლი 25. ეკონომიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის

1. მოგება, რომელსაც საწარმო მიიღებს უხარისხო პროდუქციის რეალიზაციისაგან, სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით, რომლებიც კონტროლს უწევენ პროდუქციის ხარისხს, ამოღებულ უნდა იქნეს ბიუჯეტის შემოსავლიდან. ,ეს პროდუქცია გამორიცხება საწარმოს საანგარიშო მონაცემებიდან. პროდუქციის ხარისხის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო არბიტრაჟში.

2. თუ ორგანო, რომელმაც გასცა შესაბამისობის სერტიფიკატი ან ხარისხის ატესტატი, დაადგინა, რომ საწარმოს პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, იგი აუქმებს თავის გადაწყვეტილებას სერტიფიკატის ან ხარისხის ატესტატის გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმო კარგავს უფლებას მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, ან ზღუდავს ასეთ პასუხისმგებლობას, ბათილად ითვლება.

მუხლი 27. მომხმარებელთა საზოგადოებანი

1. ჯეროვანი ხარისხის პროდუქციით უზრუნველყოფისათვის თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნან მომხმარებელთა საზოგადოებანი.

მომხმარებელთა საზოგადოებებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ კავშირებად რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში და მთლიანად ქვეყანაში.

მომხმარებელთა საზოგადოებანი და მათი კავშირები მოქმედებენ იმ წესდებების შესაბამისად, რომლებსაც იღებენ საზოგადოებათა წევრების საერთო კრება ან მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულთა კრება, და შეუძლიათ იყვნენ იურიდიული პირები. მომხმარებელთა საზოგადოება, რომელიც იურიდიული პირია, თავის წესდებას რეგისტრაციაში ატარებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. წესდების რეგისტრაციაზე, მის ცვლილებებსა და დამატებებზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ან სასამართლოში. კავშირების წესდებანი რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მომხმარებელთა საზოგადოებანი და მათი კავშირები დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მომხმარებელთა საზოგადოებსა და მათს კავშირებს უფლება აქვთ:

შეისწავლონ პროდუქციის საომომხმარებლო თვისებები, მასზე მოთხოვნა, მოაწყონ მოსახლეობის გამოკითხვა გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა;

წარადგინონ საქონელი ექსპერტიზისა და გამოცდისათვის სახელმწიფო საცდელ ცენტრებსა და სხვა საცდელ ცენტრებში, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეასრულონ ეს სამუშაოები;

მონაწილეობა მიიღონ იმ მოთხოვნათა დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში, რომლებიც შეეხება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უშიშროების უზრუნველყოფელი პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას;

მიიწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია საქონლის სამომხმარებლო თვისებათა შესახებ, რეკლამა გაუწიონ პროდუქციას, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის მაღალ მოთხოვნებს;

შეიმუშაონ მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის პროდუქციის ხარისხის ამაღლების რეკომენდაციები;

შეიტანონ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და საწარმოებში წინადადებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა მიღების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების შეჩერებისა და ისეთი პროდუქციის წარმოების შეწყვეტის, რეალიზაციიდან და გაყიდვიდან ამოღების შესახებ, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გარემოს, აგრეთვე გამყიდველის მიერ მომატებული ფასების გაუქმების შესახებ;

წარუდგინონ სასამართლოს სარჩელები მოქალაქეთა ინტერესებისათვის, რომლებმაც უხარისხო პროდუქცია შეიძინეს, აგრეთვე შეიტანონ პროკურატურის ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მასალები იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში;

გამოსცენ ბიულეტენები და გააუქონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პროდუქციის ხარისხის ანალიზის, საზოგადოებრივი აზრის გამკითხვის შედეგები, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კომენდაციები, ინფორმაცია სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საწარმოების მიერ რეკომენდაციათა რეალიზაციის შესახებ;

გამართონ ყრილობები, კონფერენციები, სემინარები საქონლისა და მომსახურების ხარისხის საკითხებზე;

ითანამშრომლონ საზღვარგარეთის მომხმარებელთა კავშირებთან და გაერთიანებებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციათა მუშაობაში მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად.

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოები და ორგანიზაციები დადგენილ ვადებში განიხილავენ მომხმარებელთა საზოგადოებებისა და მათი კავშირების წინადადებებს, აცნობებენ მათ წინადადებათა განხილვისა და რეალიზაციის შედეგებს, ხელს უწყობენ მუშაობასა და მათ მიერ წარმოდგენილი მასალების პუბლიკაციაში.

მუხლი 28. პროდუქციის ხარისხის შესახებ ინფორმაციის უფლება

1. მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს სარწმუნო და საკმაოდ სრული ინფორმაცია მის მიერ შეძენილი პროდუქციის ხარისხის შესახებ. რაც შეეხება ტექნიკურად რთულ პროდუქციას, მედიკამენტებსა და სასურსათო საქონელს, აგრეთვე პესტიციდებს, სასუქებსა და სხვა საქონელს, რომლებიც საშიშია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რომელთა ნუსხა დგინდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, განსაზღვრული წესით, ინფორმაცია მათ შესახებ უნდა შეიცავდეს აგრეთვე მითითებას მათი გამოყენებისა და შენახვის ხერხებისა და წესების თაობაზე.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციას მომხმარებელს აწვდის გამყიდველი (მიმწოდებელი, დამამზადებელი, მოიჯარე) ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც ერთვის პროდუქციას, აგრეთვე პროდუქციის მარკირებისა და ფასების აღნიშვნის, ეტიკეტირების გზით ან მისი სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხობრივი მახასიათებლების გამოვლენის სხვა ხერხით, რომელიც მიღებულია მომხმარებელთა მომსახურების ცალკეულ სფეროებში.

3. თუ სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობას მოჰყვა:

ისეთი პროდუქციის შეძენა, რომელსაც არა აქვს მომხმარებლისათვის საჭირო თვისებები,— მომხმარებელს უფლება აქვს გაწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

უხარისხო პროდუქციის შეძენა — პასუხს აგებს გამყიდველი (მიმწოდებელი, დამამზადებელი, მოიჯარე) ამ კანონის 27-ე, 28-ე და 29-ე მუხლების შესაბამისად;

შეძენილი პროდუქციის დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებელობა — მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს გონივრულად მოკლე ვადაში მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია. თუ ინფორმაციას დათქმულ ვადაში არ მიაწოდებენ, მომხმარებელს უფლება აქვს გაწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

4. ინფორმაციაზე მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ სარჩელების განხილვისას სასამართლო ხელმძღვანელობს იმ დებულებით, რომ მოქალაქეებს არა აქვს სპეციალური ცოდნა შეძენილი პროდუქციის თვისებებისა და მახასიათებლების შესახებ.

მუხლი 29. მყიდველის უფლებები ისეთი პროდუქციის შეძენის შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება ხარისხის შესახებ ხელშეკრულების პირობებს

1. მყიდველს, რომელსაც მიეყიდა ხარისხის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო პროდუქცია, უფლება აქვს საერთო ან გარანტირებული ვადების გამამავლობაში, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით, სახელმწიფო სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით ან ხელშეკრულებით და იანგარიშება მყიდველის მიერ პროდუქციის მიღების დღიდან, მოსთხოვოს გამყიდველს (მიმწოდებელს) თავისი არჩევანისამებრ, ან შეუცვალოს პროდუქცია ჯეროვანი ხარისხის ანალოგიური პროდუქციით, ან შესაბამისად შეუმციროს შესასყიდი ფასი, ან უსასყიდლოდ გამოასწოროს პროდუქციის ნაკლი, ან გაწყვიტოს ხელშეკრულება და აუნაზღაუროს მყიდველს ზარალი.

მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ ხელშეკრულებაში უფრო ხანგრძლივი საგარანტიო ვადები, ვიდრე გათვალისწინებულია კანონმდებლობით, სახელმწიფო სტანდარტებით, ან ტექნიკური პირობებით.

რაც შეეხება პროდუქციას, რომელსაც დაწესებული აქვს პრეტენზიათა წარდგენის საერთო ვადები, მყიდველს უფლება აქვს საკუთარი სახსრებით გამოასწოროს მისი ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

სანამ პროდუქციის გამოუცვლიდნენ ან ნაკლს გამოასწორებდნენ, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საფასურის გადახდაზე, ხოლო თუ პროდუქციის ფასი უკვე გადახდილია, მოითხოვოს დადგენილ შემთხვევაში და განსაზღვრული წესით გადახდილი თანხის დაბრუნება.

მოქალაქეთა მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია ხდება გამყიდველი ორგანიზაციის მშვიდობით ნაწარმის ყიდვის ადგილას ან მყიდველის საცხოვრებელ ადგილას, თუ პროდუქცია შეძენილია იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებს გარეთ, სადაც მყიდველი ცხოვრობს.

2. თუ მყიდველი, რომელმაც საცალო სავაჭრო ქსელში შეიძინა ტექნიკურად რთული პროდუქცია, მოითხოვა მის გამოცვლას ან ხელშეკრულების შეწყვეტას და ზარალის ანაზღაურებას, ეს მოთხოვნა სავალდებლოა შეუსრულონ იმ პირობით, რომ პროდუქციის ნაკლი, რომელიც არ იძლევა დანიშნულებისამებრ მისი გამოყენების შესაძლებლობას, ვერ გამოსწორდება იმ ადგილას, სადაც მყიდველს აქვს პროდუქცია, ან საგარანტიო სახელოსნოში დადგენილ ვადაში.

ამასთან პროდუქციის შეკეთების (ერთხელ ან რამდენჯერმე შეკეთების) შესაბამის სამუშაოთა შესრულების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს მყიდველის პირველი განცხადების მომენტიდან. სანამ პროდუქცია შესაკეთებლად არის მიტანილი. მყიდველის მოთხოვნით საგარანტიო სახელოსნო აძლევს მას (გამომყენებელთან) ანალოგიურ პროდუქციას, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში — უხდის ყოველდღიურად პირსაგამტეხლოს (ჯარიმას, საურავს) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა ხაბჭოების მიერ განსაზღვრული ოდენობით.

შესაკეთებელი პროდუქციის საგარანტიო სახელოსნოში მიტანა და მომხმარებლისათვის მისი დაბრუნება ხდება ამ სახელოსნოს ძალებითა და სახსრებით.

პროდუქციის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადები, მისი ნაკლის გამოსწორების შემთხვევაში, გაგრძელდება იმდენი ხნით, რამდენ ხანსაც პროდუქციას ვერ იყენებდა მყიდველი.

ტექნიკურად რთული პროდუქციის ნუსხას იდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული მყიდველის უფლებები არ დაკმაყოფილდება, თუ დამტკიცდება, რომ პროდუქციის ნაკლი თვით მყიდველის მიზეზით წარმოიქმნა.

4. საცალო ვაჭრობაში შეძენილს საქონლის გამოცვლის წესებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. ამასთან აღნიშნული წესების ნორმები ვერ შეზღუდავს მომხმარებელთა უფლებებს ამ კანონით გათვალისწინებულთან შედარებით.

მუხლი 30. შემკვეთის უფლებები სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებებში ხარისხის პირობების დარღვევის დროს

1. თუ სამუშაოთა შესრულების ან მომსახურების გაწევის დროს ცხადი გახდება, რომ ისინი ჯეროვნად ვერ შესრულდება, შემკვეთს უფლება აქვს დაუნიშნოს მოიჯარეს (მომსახურების გამწევ სხვა პირს) შესაბამისი ვადა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო დანიშნულ ვადაში ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გაწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ან დაავალოს ნაკლის გამოსწორება მესამე პირს მოიჯარის (მომსახურების გამწევი სხვა პირის) ხარჯზე.

2. თუ მოიჯარემ (მომსახურების გამწევმა სხვა პირმა) დაუშვა მუშაობის გამაუარესებელი გადახვევა ხელშეკრულების პირობებიან ან სხვა ნაკლოვანებანი მუშაობაში (მომსახურებაში), შემკვეთს უფლება აქვს თავისი არჩევანის მიხედვით მოითხოვოს ამ ნაკლის უსასყიდლოდ გამოსწორება შესაბამის ვადაში ან თავისი სახსრებით ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემკვეთის ასეთი უფლება, ან სამუშაოსათვის (მომსახურებისათვის) გასამრჯელოს შესაბამისი შემცირება.

თუ ნაკლი არ გამოსწორდა აღნიშნულ ვადაში, მოიჯარე (მომსახურების გამწევი სხვა პირი) შემკვეთს გადაუხდის პირგასამტეხლოს (ჯარიმა, საურავი) კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით. გადახდილი პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) არ შედის ასანაზღაურებელი ზარალის ღირებულებაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებში (მომსახურებაში) არის მნიშვნელოვანი გადახვევები ხელშეკრულებიდან ანდა სხვა არსებითი ნაკლოვანებანი, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაწყვეტა და ზარალის ანაზღაურება. კაპიტალურ შშენებლობაზე იჯარის ხელშეკრულებაში აღნიშნული წესების გამოყენების თავისებურებებს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

თუ ხელშეკრულებიდან მნიშვნელოვანი გადახრები ან სხვა არსებითი ნაკლოვანებანი აღმოჩნდება საყოფაცხოვრებო შეკვეთის ხელშეკრულების მიხედვით შემკვეთის მასალით დამზადებულ პროდუქციაში, შემკვეთს უფლება აქვს თავისი არჩევანის მიხედვით მოითხოვოს ასეთივე ხარისხის თანაგვარი მასალისაგან სხვა პროდუქციის დამზადება, ან ხელშეკრულების გაწყვეტა და ზარალის ანაზღაურება.

4. მოიჯარე (მომსახურების გამწევი სხვა პირი) თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შესრულებული სამუშაოთა ან გაწეული მომსახურების არასათანადო ხარისხისათვის, თუ დაამტკიცებს, რომ ეს მოხდა თვით შემკვეთის მიზეზით. კაპიტალურ შშენებლობაზე იჯარის ხელშეკრულებით მოიჯარე მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა არასათანადო ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ მას მიუძღვის ბრალი.

5. ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა ან მუშაობაში სხვა ნაკლოვანებები, რომლებიც არ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო მისი მიღების ჩვეულებრივი წესის დროს, შემკვეთი მოვალეა მიუთითოს მოიჯარეს აცნობოს მათი აღმოჩენისთანავე.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შემკვეთის უფლებები შეიძლება განხორციელდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში.

მუხლი 31. პროდუქციის მარკირებისათვის დამამზადებლის მოვალეობა

1. საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციას უნდა ჰქონდეს საწარმოო მარკა და დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული სასაქონლო ნიშანი, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. საწარმოო მარკა შეიცავს დამამზადებლის დასახელებას, მის ადგილსამყოფელს, სახელმწიფო სტანდარტის, ან ტექნიკური პირობების დამოწმებას, რომელთა მოთხოვნების შესაბამისად დამზადებულია პროდუქცია.

3. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით მოქალაქის მიერ დამზადებულ პროდუქციას უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, რომელზეც ნაჩვენები იქნება პატენტის (ნებართვის) ნომერი, აგრეთვე სახელმწიფო სტანდარტი, რომლის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ამ პროდუქციის ხარისხი.

4. საწარმო ან მოქალაქე, რომლებიც დაარღვევენ მოქალაქეთათვის პროდუქციის რეალიზაციის დროს მისი მარკირების ან ეტიკეტირებისადმი მოთხოვნებს, ადგილობრივ ბიუჯეტში იხდიან ჯარიმას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით.

5. საწარმოს ან მოქალაქეს, რომლებიც ამზადებენ პროდუქციას ან მომსახურებას უწევენ, აქვთ დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული უფლება.

პირი, რომელიც სასქონლო ნიშანს იყენებს ან საწარმოსა ან მოქალაქის ნებადაურთველად, რომელთა სახელზე იგი რეგისტრაციაშია გატარებული, მოვალეა აუნაზღაუროს მათ მიყენებული ზარალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 32. ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფლება

1. მოქალაქეს აქვთ იმის გარანტიის უფლება, რომ წამლები, კოსმეტიკის საშუალებანი, კვების პროდუქტები, სამშენებლო ნაგებობანი, ელექტროენერგია და სხვა პროდუქცია დამზადებულია და გადაეცათ მათ გამოყენებისათვის საჭირო სამედიცინო, სანიტარიული, ჰიგიენური, ტექნიკური და სხვა მოთხოვნების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, და გამორიცხავენ სიკვდილის, დაავადებისა და ტრამვების გარდუვალ ან გაუმართლებელ რისკს.

2. პროდუქცია საშიშად ითვლება, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების იმ დონეს, რომელთა იმედი უნდა იქონიონ მისი შეძენისა და გამოყენების ყველა გარემოების გათვალისწინებით.

ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშად პროდუქციას ცნობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროდუქციის უსაფრთხოების მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ მომხმარებელთა საზოგადოებების (კავშირების) წარმომადგენლები.

ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია უნდა მოიხსნას წარმოებიდან და ამოღებულ იქნეს ბრუნვიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

3. ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის რეალიზაციისათვის საწარმოებსა და მოქალაქეებს ეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობისაგან აღნიშნულ პირთა განთავისუფლების საფუძვლად არ ჩაითვლება იმის მოშიზვნება, რომ პროდუქციის გამოშვების ან გამოსაყენებლად მოქალაქეთათვის მისი გადაცემის მომენტში მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის დონე არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ აღმოჩენილ ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის თვისებები.

ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში შემმუშავებელთან და დამამზადებელთან ერთად პასუხს აგებენ სერტიფიკაციური საცდელი ცენტრი, თუ მან დაუსაბუთებლად მოიჯარე — ნებადართვის, ეტიკეტირებისა, ან ხარისხის სერტიფიკატი, ან ატესტატი, ამ ხარისხიანი ობიექტი, რომელმაც დაამტკიცა სახელმწიფო სტანდარტი (საშენებლო ნორმები და წესები), რომელთა მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფენ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საჭირო დონეს, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, რომლებიც დაეთანხმნენ ამ მოთხოვნათა დამტკიცებას.

მუხლი 33. ქონებრივი პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის

1. მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის იმ პროდუქციით მიყენებული ზიანი, რომელიც შეიცავს კონსტრუქციულ, სარეცეპტურო ან საწარმოო დეფექტებს, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა სრული მოცულობით, თუ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის პასუხისმგებლობის უფრო დიდი ზომა.

2. მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ყველა დაზარალებულ მოქალაქეს იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა მას სახელშეკრულებო ურთიერთობა ზიანის მიმყენებელთან.

3. ზიანის მიმყენებლებად ითვლებიან ზიანის მიმყენებელი პროდუქციის გამყიდველი და ასეთი პროდუქციის დამამზადებელი, რომელიც მისი გამყიდველი არ არის.

4. მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დგება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად.

5. უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო იღებს განჩინებას ბრუნვიდან და მოქალაქეთა გამოყენებიდან იმ პროდუქციის მთელი პარტიის ამოღების შესახებ, რომელიც შეიცავს კონსტრუქციულ, სარეცეპტურო ან საწარმოო დეფექტებს, რომელსაც ზიანის მიმყენებელი ნაწარმი განეკუთვნება, და დამამზადებლის მიერ ასეთი პროდუქციის შეძენასთან დაკავშირებით მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურების შესახებ.

6. მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, თუ იგი მიყენებულ იქნა სახელმწიფო სტანტარტებით და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული პროდუქციის გამოსადეგობის ვადების განმავლობაში, ასეთების არქონის პირობებში კი — 10 წლის განმავლობაში პროდუქციის დამზადების მომენტიდან.

7. მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობას ატომური ენერგიისა გამოყენებასთან, აგრეთვე გარემოს დაცვის წესების დაუცველობასთან დაკავშირებით აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 34. სასამართლოს მიერ მოქალაქეთა უფლებების დაცვა არასათანადო ხარისხის პროდუქციის შეძენის შემთხვევაში.

ამ კანონის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოქალაქეთა უფლებების ნებაყოფლობით დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო.

აღნიშნული მუხლების საფუძველზე მოქალაქის მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს სასამართლოს, გარდა ამისა, გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ მოქალაქეს

უკსოფოში

საქალაქო იუწყება

11 თებერვალი

● ჩინეთი

ქხმეართა ოპოზიციის თათბირი

პეკინი. აქ პრინც სიანუკის თავმჯდომარეობით გაიმართა ქხმერთა ოპოზიციის სამი დაჯგუფების თათბირი. მისმა მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი თვალსაზრისი კამპუჩიის პრობლემის მოწესრიგების საკითხზე.

თათბირზე მიღებული დოკუმენტი მოუწოდებს კამპუჩიიდან ვიეტნამის ჯარების მთლიანად გაყვანის კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ორი თვის განმავლობაში. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი მექანიზმის მეშვეობით. თათბირის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადება კამპუჩიის ოთხივე ძალებისთვის სამხედრო დახმარების ეტაპობრივი შემცირების თაობაზე. ასეთი დახმარება, მათი აზრით, უნდა შეწყდეს იმ მომენტიდან, როცა ვიეტნამის ჯარები მთლიანად გაყვენ კამპუჩიის ტერიტორიიდან.

● ეგვიპტე

პალესტინელთ ხელმძღვანელის განცხადება

კაირო. ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე სახალხო აჯანყების მიზანია პალესტინელ არაბთა კანონიერი ეროვნული უფლებების, კერძოდ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელება, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აბუ აიადმა.

ეგვიპტის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან თქვა, რომ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეუძლებელია დამყარდეს, თუ სამართლიანად არ გადაიჭრა პალესტინის პრობლემა, რომელიც რეგიონის კონფლიქტის თავი და თავია.

ყოველგვარი წინასწარი პირობების წამოყენენლად მოწესრიგების გზების განხილვის ერთადერთი ადგილია საერთაშორისო კონფერენცია, ხაზგასმით აღნიშნა პალესტინის წარმომადგენელმა. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის წვლილს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მშვიდობიანი პროცესის განვითარებისათვის, და დასძინა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეიცვლის თავის ახლანდელ პოზიციას და ასეთსავე კონსტრუქციულ როლს შეასრულებს, მაშინ მშვიდობის გზა გაცილებით უფრო მოკლე იქნება.

გულმოწყალეგისა და ჯანმრთელობის ფონდი

ამას წინათ გაიმართა მოწყალეებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია, გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს აკადემიკოსი სიმონ ხერხინაშვილი, პირველ მოადგილედ — თეიმურაზ თოფურია.

საბინაო-სოციალური ბანკის განყოფილებაში გაიხსნა ანგარიში.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მიმართა რამდენიმე შეკითხვით.

— ბატონო თეიმურაზ! გთხოვთ ჩვენს მკითხველებს გააცნოთ ახალჩამოყალიბებული რესპუბლიკური განყოფილების მიზნები და ამოცანები, რა მისია აკისრია მას.

—ძოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდის და ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის შექმნა დროის ნიშან-თვისებაცაა და წარსული ტრადიციების აღდგენაც. მოგეხსენებათ, ფონდის მუშაობას საფუძვლად უდევს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებები ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, ინვალიდებისა და ღრმად მოხუცებისთვის ზრუნვის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გაძლიერების შესახებ.

განყოფილება თავის მუშაობაში მთავარ ადგილს დაუთმობს ზნეობრივ აღზრდას, ჰუმანიზმისა და გულმოწყალების იდეალების განვითარებას, ყურადღება მიექცევა აგრეთვე რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ხელის შეწყობის, პროფილაქტიკურ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სარეაბილიტაციო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და განვითარებაში მონაწილეობას. ვეცდებით გავაუმჯობესოთ ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, გავაძლიეროთ ღონისძიებები ნაადრევი მავნე ჩვევების წინააღმდეგ, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, თამბაქოს წევა და სხვ.

ჩვენი მუშაობის არსი გახლავთ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირად შეწირულობათა თანხების შეგროვება და რაციონალური გამოყენება. იგი მოხმარდება ომისა და შრომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, მარტოხელა, ღრმად მოხუცებული და შრომისუუნარო მოქალაქეების, ბავშვობიდან ინვალიდების, სტაჟიური უბედურების ან ავაროის შედეგად დაზარალებულ პირთათვის სამედიცინო და სოციალური დახმარების სრულყოფას, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

— რა კონკრეტული გეგმები გაქვთ დასახული, რის გაკეთებას აპირებთ უახლოეს ხანში?

— ახალი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის მასშტაბებზე წარმოდგენის შესაქმნელად დავასახელებ ზოგიერთ მონაცემს. ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურაში განუხრელად იზრდება ხანდაზმულთა ხვედრითი წილი, ასევეა ჩვენს რესპუბლიკაშიც. თუ ომამდე ყოველი მეთხუთმეტე ადამიანი იყო 60 წლისა, ახლა ამ ასაკისაა ყოველი მეექვსე.

მომრაულდნენ იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებიც ყოველმხრივ დახმარებას საჭიროებენ (იგულისხმება არა მარტო მოხუცები და ავადმყოფები, არამედ სტაჟიური უბედურებით დაზარალებულებიც და სხვებიც). რესპუბლიკაში გვაქვს მოხუცებისა და ინვალიდთა 7 სახლ-ინტერნატი, ორიც — ინვალიდი ბავშვებისათვის. ასეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით შორს ვერ წავალთ, საჭირო იქნება ახალი, თანამედროვე ტიპის სახლ-ინტერნატების მშენებლობა. ამას გარდა ამ დაწესებულებებში დღეისათვის მოუწესრიგებელია კვებისა და მედიკამენტების, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხები.

არც ომის ინვალიდებისთვის გაწყვეტილი ჰოსპიტლებია საკმარისი. ყველა ამ პრობლემას მარტო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროები ვერ გაწვდებიან, რადგან არა აქვთ საჭირო ასიგნებანი სწორედ მათი მატერიალური დახმარებისა და საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით შეიქმნა გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდი და ჩვენი განყოფილება, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის ცენტრების შექმნას რესპუბლიკაში, ფიზკულტურის განვითარებასა და ინვალიდთა ახალი სახლ-ინტერნატების აშენებას. ფონდი უზრუნველყოფს პენსიონერებს, ომისა და შრომის ინვალიდებს უფასო სამკურნალო-წამლო მედიკამენტებით, მატერიალურად დაეხმარება ომში დაღუპულთა ოჯახებს.

მოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდის რესპუბლიკურ განყოფილების დიდი და ძნელი, მაგრამ კეთილშობილური საქმიანობა ესახება. ფონდის შექმნა დროისათვის ხარკის გადახდა კი არაა, არამედ წინ გადადგმული ნაბიჯია გარდაქმნის გზაზე.

— რა კონკრეტები გაქვთ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომელთა უშუალო მოვალეობაა ადამიანების, ხანდაზმულთა და ინვალიდთა სოციალური პირობების გაუმჯობესება?

—როგორც აღვნიშნეთ, დაიწყო კეთილშობილური ტრადიციის აღდგენა, გასაჭირში მოხვედრილი ადამიანის და ინვალიდების ბედიღბლის გაზიარების, მასში უანგარო ჩარევის პროცესი, და შემთხვევითი არ არის, რომ პროფკავშირებმა პირველებმა შეიფასეს ამ ახალი მოძრაობის პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობა, გამოვიდნენ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებლად და მხარდამჭერად, რადგან ფონდის მიზნები და ამოცანები ემთხვევა პროფკავშირის მიზნებს და ამოცანებს. ასეთივე როლი შეასრულეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა.

ამ საქმის ინიციატორი, მხარდამჭერი და ფულის გამღები ბევრია, რომელიმეს როლის დაანიხება არ გვინდა, მაგრამ საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რეალური წარმატება განისაზღვრება აქტიური მხარდაჭერით და ყველა დაინტერესებული საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის, პროფკავშირების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების გეგმაზომიერი და ეამიზნული საქმიანობით.

ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ეს მოძრაობა მიიღებს მასობრივ ხასიათს, მოსახლეობისა და ორგანიზაციების უმეტესობა აქტიურად ჩაებმება მასში.

ესაუბრა

ნორა ნორაკიძე.

ყველა მოგებულია

„სპორტი ყველასათვის“ — ამ დევიზით მიმდინარეობს მასობრივი დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები საბჭოთა კავშირისა და კანადის ხუთ ქალაქს შორის. მათ შორის არის ასეთი წყვილიც — რუსთავი — სენტ-ჯონსი. ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქისა და კანადის მცხოვრებთა დაუსწრებელ სპორტში მონაწილეობს ათასობით ადამიანი.

და თუმცა რეკორდები არ იქნება, ყველა მოგებული დარჩება — სპორტს მოაქვს ძალა, ჯანმრთელობა, სიხარული.

* * *

სურათზე: ველოსპორტის მოყვარულები რუსთავის ქუჩებში.

საქინფორმის ფოტო.

გიორგი მარგველაშვილი



ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე გიორგი გიორგის ძე **მარგველაშვილი.**

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე და შემოქმედი, რომელიც ოთხი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა შშობლიურ ლიტერატურას და თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა მის წინსვლასა და განვითარებაში.

გიორგი მარგველაშვილი დაიბადა 1923 წლის 31 ოქტომბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ხარატად. 1942 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, შემდეგ სწავლობდა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

გიორგი მარგველაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ პასუხისმგებელ მდივნად, მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ლექტორად, „ლიტერატურული გაზეთის“ პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ, ჟურნალ „მნათობის“ კრიტიკის განყოფილების გამგედ. 1968 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო და თავისი წვლილი შეჰქონდა მოძმე ხალხთა ლიტერატურების დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების კეთილშობილურ საქმეში.

ლიტერატურული მოღვაწეობა გიორგი მარგველაშვილმა 1949 წელს დაიწყო. მისი თხზულებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ოცდაათზე მეტი წიგნის ავტორია.

გიორგი მარგველაშვილის მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის შედევრების რუსულ ენაზე თარგმნასა და პოპულარიზაციაში. მან მრავალი ნაწარმოები თარგმნა, შედგენა კრებულები და თავისივე წინასიტყვაობით გამოსცა რუსულ ენაზე. პირველად საქართველოში გამოაქვეყნა ბ. პასტერნაკის მიმოწერა ქართველ მწერლებთან. მკითხველთა ფართო მასების მოწონებით სარგებლობს მისი მონოგრაფიები კლასიკოსებზე, თანამედროვე რუს მწერლებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა დასდო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რუსულ ენაზე ამეტყველებას. მან მოამზადა პოეტის „ლირიკა“ — რჩეული ლექსების კრებული რუსულ ენაზე, იყო ამ კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მრავალი ლექსის მთარგმნელი.

გიორგი მარგველაშვილი არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, გამომცემლობა „მერნის“ სარედაქციო საბჭოს, თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო საბჭოს, ჟურნალ „ლიტერატურნაია. გრუზიის“ სარედაქციო კოლეგიის, ლიტერატურის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

შესანიშნავი მწერლისა და მოქალაქის, მშობლიური ლიტერატურის დიდი მოამაგის გიორგი მარგველაშვილის სახელი საუკუნოდ დამკვიდრდებს კუთვნილ ადგილს ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. დ. მაზარაშვილი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერძეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. სირაძე, ვ. ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ბ. ჩერძეზიშვილი, ა. შ. იოსელიანი, მ. ი. მაჰავარიანი, ხ. მ. ბერულავა, თ. ბ. ბუაჩიძე, ბ. ე. გვერდწითელი, ნ. ვ. ბურეშიძე, ჯ. ხ. ზამბახიძე, რ. ს. მიქინოშვილი, ე. ე. ნიჟარაძე, შ. ბ. ნიშნიანიძე, ა. ს. ხულაბაური, ბ. ე. ფანჯიკიძე, ჯ. ნ. ღვინჯილია, ჯ. ბ. ჩარკვიანი, თ. ვ. ჩხენკელი, ხ. ს. ცაიშვილი, ბ. შ. ციციშვილი, რ. ბ. ბეიშვილი, ე. დ. ჯაველიძე, თ. ა. ჯანგულაშვილი.

მოვლენის ფონი

მადლიერი შთამომავალნი-დავით აღმაშენებელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე დავით აღმაშენებლის გამოსვლის 900 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გრძელდება. მადლიერი შთამომავალნი პატივს მიაგებენ თავიანთ დიდ წინაპარს, რომელმაც სამომავლო საქმეებით ხელი შეუწყო ისტორიულ პროგრესს.

ამ დღეებში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში იმართება ლიტერატურული საღამოები, სამეცნიერო სესიები, კონცერტები, რომლებზეც მთელი სიდიადით წარმოდგება სახელოვანი მამულიშვილი, რომლის სახელი და საქმენი უკვდავია ხალხის ხსოვნაში.

ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება კონცერტების ციკლი, რომლებიც 22—25 თებერვალს გაიმართება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

„ქართული საგალობლები“ — ასე ეწოდება პირველ კონცერტს.

რესპუბლიკის საუკეთესო სახელმწიფო ანსამბლები, საეკლესიო გუნდები მსმენელთ გააცნობენ უძველესი ქართული მუსიკალური კულტურის შედევრებს. აყალიბდება ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებიც, რომლებიც მშობლიური ლიტერატურის სიმდიდრის დასტურია.

ამ მუსიკალური „ტეტრალოგიის“ მეორე ნაწილი იქნება კონცერტი „მრავალკომპონენტი“. 23 თებერვალს ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მხატვრული კოლექტივები. შესრულდება ამ თემაზე ჩვენი ლირიკოსების მიერ შექმნილი პოეტური ნაწარმოებები.

24 თებერვალს დიდი დარბაზი მაყურებლებს იწვევს ფოლკლორულ საღამოზე, რომელზეც აყალიბდება მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორული მელოდიები, სახალხო მთქმელები დედაქალაქის მაყურებლებს გააცნობენ თავიანთ შემოქმედებას. ცნობილი თბილისელი მსახიობები წაიკითხავენ თვითმოქმედი ავტორების ნაწარმოებებს.

კონცერტის დასკვნითი ნაწილი იქნება ...„კიდევაც დაიზრდებიან...“, რომელიც წარმოაჩენს ახალგაზრდა შემსრულებელთა შემოქმედებას. მთელი ეს მუსიკალური მიძღვნა მკაფიოდ დაადასტურებს დროთა და არა აქვს მავნე თანაური ზემოქმედება.

ექო: „ველოსიპედი ქაღაქში“

მოძალებული პრობლემა

შარშან, 2 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა თ. ნიკოლაიშვილის წერილი — „ველოსიპედი ქალაქში“. ავტორი სამართლიანად სჯის დედაქალაქში შექმნილ მწვავე ეკოლოგიურ მდგომარეობას და გვთავაზობს საგულისხმო წინადადებას — ველოსიპედის, როგორც სატრანსპორტო და ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების საუკეთესო საშუალების დანერგვას.

ამ საკითხმა, როგორც თვით წერილის ავტორი მიუთითებს, შესაძლოა, ზოგიერთებში ღიმილი გამოიწვიოს. პრობლემა კი მომძლავრდა. დღესვე საჭიროებს სამეფნი ჩარევას, რადგან ხვალ გვიან იქნება. ყოველდღიურად სულ უფრო ძნელო ხდება მოძრაობა.

ცნობილია, რომ თბილისში კატასტროფულად იზრდება ავტოტრანსპორტის (განსაკუთრებით — პირადის) რიცხვი. ამას ემატება ქალაქში ჩამოსული თუ გამვლელი მანქანების დიდი ნაკადი. ისიც საყურადღებოა, რომ ქალაქის რელიეფის გამო გზაჯვარედინები ახლო მანძილზეა განლაგებული, რაც ავტოტრანსპორტის იძულებით შეჩერებას იწვევს, დიდი რაოდენობით გამოიყოფა მავნე ნივთიერებანი. რიგ შემთხვევაში ავტომანქანები ტექნიკურად გაუმართავია, ბენზინი უხარისხოა და ესეც ართულებს მდგომარეობას. ავტომანქანების სიჭარბის გამო იმატა ავარიების რაოდენობამ, არც თუ იშვიათად, ადამიანთა მსხვერპლით რომ მთავრდება.

სხვადასხვა ღონისძიების მიუხედავად (შემოსასვლელი გზების შეზღუდვა, მანქანების ტექნიკური შემოწმებები და სხვა) მდგომარეობა უცვლელი რჩება. ამას წინათ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება დედაქალაქში მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის თაობაზე. მით უფრო შეზღუდვა სჭირდება ავტომობილების ზრდას. დაკვირდით, განსაკუთრებით „პიკის“ საათებში, როგორ არის გადატვირთული რუსთაველის, ქავქავაძის, მშვიდობის, ვაჟა-ფშაველას, წერეთლის, დავით აღმაშენებლის, მოსკოვის პროსპექტები, ლენინის, ჩელუსკინელების, ოქტომბრის, საბჭოს, ფიროსმანის, კონსტიტუციის ქუჩები, ავჭალის გზატაცელი, დიღმის ხიდი, 1 მაისის საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ქუჩები და ქალაქის ზიკური შრომა, ვარჯიში, რაციონალური კვება, ჯანმრთელი ცხოვრების წესი — ეი სად არის თანამედროვე და მომავალი საუკუნის ადამიანთა ჯანმრთელი დღეგრძელობის სათავეები.

ამ საქმეში სასარგებლო მისიის შესრულება სწორედ ველოსიპედს შეუძლია, როგორც არა მარტო ორგანიზმის ვარჯიშის, გართობა-დასვენების, არამედ აგრეთვე რაციონალურ სატრანსპორტო საშუალებას. ველოსიპედით გასეირნება თუ საქმიანი მგზავრობა ეროვნული ეკონომიკისა და ადამიანთა ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს ორ-სამ ადამიანს ეჩვენებოდა ალბათ ფანტაზია, ოცნება. ეს ოცნება ახლა ასრულებულია. ეს ოცნება ახლა ასრულებულია. ეს ოცნება ახლა ასრულებულია